



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თარხან-მოურავი რევამ გიორგის ძე

თარხან-მოურავი რევამ გიორგის ძე (21. XII. 1923, თბილისი, – 6. X. 1993, იქვე), გრაფიკოსი, ფერმწერი. საქართვე. სახ. მხატვარი (1984). დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1954), იყო დ. კაკაბაძისა და ს. ქობულაძის მოწაფე. გამოფენებში მონაწილეობდა 1955-იდან. მისი გრაფ. ნამუშევრებისთვის დამახასიათებელია დინამიზმი, რიტმულობა, კომპოზიციური მთლიანობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თ.-მ-ის მიერ შესრულებული ლინოგრაფიურების სერიები „ქართული ხალხური სიმღერები“ (1959), „ქართული ხალხური ცეკვები“ (1957), „ქართული ხალხური თამაშობანი“ (1960), სადაც ნახატის საშუალებით გადმოცემულია ქართვე. ხალხისათვის დამახასიათებელი განწყობილება და ხასიათი (ყველა შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი). თ.-მ. ბევრს მუშაობდა ილუსტრაციის დარგში (ნიკოლას გილიენის ლექსის „ვესტინდოეთის“ ილუსტრაცია, 1955); ფერწერაში („მშენებლები“, 1973, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნ. გალერეა, თბილისი), მოხატა ყვარლის ღვინის სარდაფის სადეკუსტაციო დარბაზი. 1964 გამოსცა ალბომი „ქართული ხალხური ცეკვები, სიმღერები, თამაშობანი ნახატებში“.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ა. ჩხარტიშვილი
